ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამა ითვალისწინებს საქართველოში არსებული და მარნეულის მუნიციპალიტეტისათვის დამახასიათებელ კულტურულ (ნოვრუზ ბაირამი) ღონისძიებების სრულფასოვნად ჩატარებას (სასაჩუქრე კალათების, თაიგულების, გვირგვინების, დეკორაციების შეკვეთა - შესყიდვა). კონცერტებისათვის მომღერლების, სცენისა და განათება-განმეორების დაქირავებას, მათი მონტაჟი- დემონტაჟი. თეატრალიზებული წარმოდგენებისთვის ფორმების შექმნა ან დაქირავება. საგამოფენო სივრცის მოწყობის მიზნით პროდუქტის შექმნა. მარნეულში ტრადიციად დამკვიდრდა და აღინიშნება ღვინის დღე სახელწოდებით "მარნეული ვაზის აკვანი". ღონისძიების ფარგლებში ტარდება სხვადასხვა საშემოდგომო რიტუალები. კულტურული მემკვიდრეობის, ტურიზმის და საგანმანათლებლო მიმართულების აქტივობები.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სანახაობრივი მაღალი ხარისხის კულტურული ღონისძიებების ჩატარება; მოსახლეობის ჩართულობის გაზრდა.		

ბ.გ) კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 03			410,0
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია კულტურის ობიექტების მოვლა შენახვა, რეაბილიტაცია.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მუნიციპალიტეტში არსებული კულტურის ობიექტების შენარჩუნება, ახალი ობიექტების მშენებლობა რათა შენარჩუნდეს და გაიზარდოს კულტურით დანტერესებული მოსახლეობის ხელმისაწვდომობის დონე.		

ბ.დ) რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა (050204)

კოდი	ქვეპროგრამის დასახელება	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 02 04			410,0
ქვეპროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ეკლესია მონასტრების და მეჩეთების ფინანსური მხარდაჭერა, კერძოდ 400,0 ათ.ლარით დაფინანსდება „მარნეულისა და ჰუჯაბის ეპარქია“, კვარტალში 100,0 ათ.ლარის ოდენობით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ შემუშავებული წესის შესაბამისად. ხოლო 10,0 ათ.ლარი განსაზღვრულია რელიგიური დაწესებულებების კომუნალური გადასახადებისათვის. კომუნალური გადასახადების დაფარვა ხდება შემდეგი წესით :1) იმ ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც ქალაქ მარნეულში მდებარეობს- 300 ლარამდე 2) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არ არის შეყვანილი ბუნებრივი აირი -100 ლარამდე 3) ეკლესია-მონასტრებისათვის და მეჩეთებისათვის რომელიც სოფლად მდებარეობს და არის შეყვანილი ბუნებრივი აირი - 50 ლარამდე.		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება;		

გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა (კოდი 0503)

კოდი	პროგრამის დასახელება	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 03	ა		110.0
პროგრამის აღწერა	გამომდინარე საკითხის მნიშვნელობიდან, ახალგაზრდულ საქმეთა მიმართულებით მუშაობა უნდა მოიცავდეს შემდეგ პრიორიტეტულ საკითხებს: ახალგაზრდების სამოქალაქო მონაწილეობის ხელშეწყობას, მათთვის ჯანსაღი გარემოს შექმნას, თანასწორი შესაძლებლობები მიანიჭებს, მათი დასაქმების ხელშეწყობას და ახალგაზრდული საქმიანობის განვითარების ხელშეწყობას. ღონისძიებების განხორციელება როგორც ფორმალურ, ისე არაფორმალურ ფორმატში.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ახალგაზრდობის განვითარების მხარდაჭერი და ინსტიტუციონალურად ჩამოყალიბებული სისტემის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ახალგაზრდების მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, არაფორმალური განათლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას, უსაფრთხო და ჯანსაღი გარემოს შექმნასა და თანაბარ შესაძლებლობებს. საკრებულოს მიერ დამტკიცებული „ინიციატივების თანადაფინანსებისა და ახალგაზრდული იდეების განხორციელების წესი“ შესაბამისად გამოცხადდება ახალგაზრდული იდეების კონკურსი, ადგილობრივი ახალგაზრდული ორგანიზაციების, საინიციატივო ჯგუფების და აქტიური ახალგაზრდების მიერ წარმოდგენილი პროექტების დასაფინანსებლად; მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დამტკიცებული „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სტუდენტებისათვის მგზავრობის ხარჯებით დახმარების წესი“ და „მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული წარმატებული სტუდენტების წახალისების წესი“ შესაბამისად, სტუდენტებს წახალისების მიზნით, გადაეცემათ მერის ჯილდო და თვითმმართველობის მიერ მოხდება აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებლებში აქტიური სტუდენტის სტატუსის მქონე სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების უზრუნველყოფა.		

დ) ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა

კოდი	პროგრამის დასახელება	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
05 04			100,0
პროგრამის აღწერა	პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფას. რისთვისაც ერთ-ერთი საჭირო და მნიშვნელოვანი მექანიზმია მოსახლეობის ინფორმირება ადგილობრივი ხელისუფლების (როგორც წარმომადგენლობითი ისე აღმასრულებელი ორგანოს) მიერ მუნიციპალიტეტში გაწეული საქმიანობის შესახებ. მიმდინარე და დაგეგმილი პროექტების, პროგრამებისა და აქტივობების შესახებ სრული ინფორმაციის დროული გავრცელება. აღნიშნული მექანიზმის ეფექტიანად ამუშავებისათვის აუცილებელია ტელევიზიასთან მჭიდრო თანამშრომლობა, რომლის ფარგლებშიც მოხდება საკრებულოს სხდომების, ასევე ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა საქმიანი შეხვედრებისა და გაერთიანებული თათბირების გაშუქება, რომელიც შეიცავს საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციებს. უზრუნველყოფილი იქნება საზოგადოებისათვის საჭირო ინფორმაციის განცხადების სახით გავრცელება და სხვა მნიშვნელოვანი და აქტუალური თემების გაშუქება.		
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების ძირითადი პრინციპის, დემოკრატიის გზით გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობის უზრუნველყოფა;		

5. ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

ა) ჯანმრთელობის დაცვა (კოდი 0601)

პროგრამის მიზანი: მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, პროგრამის ფარგლებში ასევე განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ჯანდაცვის ობიექტების რეაბილიტაცია და მშენებლობა.

არსებულ ეტაპზე პროგრამით გათვალისწინებულია კოდი 060101 „საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა“ დაფინანსება.

პროგრამული კოდი	დასახელება	2022 წელი			2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
		სულ	ადგილობრივი ბიუჯეტით	სახელმწიფო ბიუჯეტით			
06 01	ჯანმრთელობის დაცვა	260,0	173,4	86,6	260,0	260,0	260,0
060101	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	260,0	173,4	86,6	260,0	260,0	260,0
06 02	სოციალური დაცვა	2080,0	2075,0	5,0	2080,0	2080,0	2080,0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1600,0	1600,0	0,0	1600,0	1600,0	1600,0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	475,0	475,0	0,0	475,0	475,0	475,0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	5,0	0,0	5,0	5,0	5,0	5,0
	სულ პრიორიტეტი	2340,0	2248,4	91,6	2340,0	2340,0	2340,0

ა.ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

კოდი	პროგრამის დასახელება	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 01 01			260,0

<p>ქვეპროგრამის აღწერა</p>	<p>მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სისტემის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულება არსებული რეალობებისადმი მიდგომების ახლებურად გააზრებას და რადიკალურ გარდაქმნებს ითხოვს. საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრობლემათა გადაჭრა მოსახლეობის მომსახურების მრავალფეროვნებაში, არსებულ პირობებთან ადაპტირებაში, ჯანმრთელობისათვის მოსალოდნელი საფრთხეებისა და რისკების თავიდან აცილებაში მდგომარეობს. თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებები საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში არის: ა) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობა; ბ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაავადებების გავრცელების პრევენციის მიზნით დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზება; გ) საგანმანათლებლო, სააღმზრდელო და საგანმანათლებლო-სააღმზრდელო დაწესებულებებში პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობა; დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობა, მათ შორის, საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების განმახორციელებელ დაწესებულებებში ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დაცვის კონტროლი; ე) პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული იმუნოპროფილაქტიკისათვის საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ მიწოდებული მასალების მიღების, შენახვისა და განაწილების უზრუნველყოფა სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლებისათვის; ვ) პრევენციული და ეპიდემიოლოგიური კონტროლის ღონისძიებების გატარება ეპიდსაშიშროებისას; ზ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პირველადი ეპიდკვლევის ხელშეწყობა; თ) „ტუბერკულოზის კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონით მათთვის განსაზღვრული უფლებამოსილებების განხორციელება. საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სტრატეგიულ ფუნქციები: გადამდებ/არაგადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა, მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება; ჯანმრთელობის რისკ-ფაქტორების მონიტორინგი და მყისიერი რეაგირება საგანგებო სიტუაციების დროს, კოორდინაცია ცენტრალურ სტრუქტურებთან; ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფის ხელშეწყობა. საკვებისა და სასმელი წყლის ტექნიკური რეგლამენტებისა და სხვა ნორმატიული დოკუმენტების მომზადებაში მონაწილეობა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ინფორმირება სავარაუდო საკვებისმიერი და წყლისმიერი ინფექციების გავრცელების მხრივ არსებული მდგომარეობის შესახებ; ჯანმრთელობის განმტკიცება ჯანმრთელობის დაცვაში უთანასწორობისა და სოციალურ დეტერმინანტებზე ზემოქმედების განხორციელების გზით; დაავადებათა ადრეული გამოვლენა და პროფილაქტიკა.; მოსახლეობის, თემის წარმომადგენლების, ცალკეული მოწყვლადი ჯგუფების ორგანიზება და წარმართვა ჯანმრთელობასა და კეთილდღეობასთან დაკავშირებულ საკითხებში. ადამიანური რესურსების პროფესიული განვითარება, მოტივირება და შენარჩუნება; საზოგადოებრივი ჯანდაცვის ორგანიზაციულ-სტრუქტურული სრულყოფა, ადეკვატური დაფინანსების მიღწევა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სერვისებისა და პროდუქტებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა; ჯანმრთელობის ადვოკატირება, მოსახლეობასთან კომუნიკაციის გაუმჯობესება, საინფორმაციო განმარტებითი საქმიანობა, სოციალური მობილიზაცია; მტკიცებულებებზე დაფუძნებული ჯანდაცვის პოლიტიკისა და პრაქტიკის წარმოებისათვის კვლევითი სამუშაოების წარმოება და მონაწილეობის მიღება.</p>
<p>ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი</p>	<p>მეთვალყურეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე, ჯანმრთელობის რისკებისა და საგანგებო სიტუაციების მონიტორინგი და რეაგირება;</p>

ბ) სოციალური დაცვა

<p>კოდი</p>	<p>პროგრამის დასახელება</p>	<p>სოციალური პროგრამები</p>	<p>2022 წლის დაფინანსება ათას ლარში</p>
-------------	-----------------------------	-----------------------------	---

06 02		2080,0
პროგრამის აღწერა	პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი ფენების მოსახლეობის დახმარება მედიკამენტებით, ოპერაციის და მკურნალობის დაფინანსება, ერთჯერადი დახმარებები	
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა	

ბ.ა) ავადმყოფთა სოციალური დაცვა

კოდი	პროგრამის დასახელება	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	2021 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
06 02 01			1600,0
ქვეპროგრამის აღწერა	<p>ქვეპროგრამის ფარგლებში მედიკამენტებით თანადაფინანსება გაეწევა სოციალურად დაუცველ ოჯახებს, რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 0- 120 000 მდე და დევნილებს. თანხა შეადგენს ანგარიშ-ფაქტურაში მითითებული თანხის 80% არაუმეტეს 400 ლარისა. გარდა ამისა, ამავე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ბენეფიციარს დაუფინანსდება მკურნალობა და ამასთანავე გამოკვლევა ერთჯერადად 200 ლარის ფარგლებში. თანადაფინანსება ხდება წლის განმავლობაში ერთჯერადად.</p> <p>-მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანს, სარეიტინგო ქულით 0 დან - 120 000-მდე მედიკამენტებით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80% -ით, არაუმეტეს 600 ლარის ოდენობის.</p> <p>-მკვეთრად, მნიშვნელოვნად და ზომიერად შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს, ოპერაციით, რეაბილიტაციით, მედიკამენტებით, გამოკვლევით და მკურნალობის გაწევის მიზნით დახმარება გაეწევა წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით კალენდარული წლის განმავლობაში ეტაპობრივად არაუმეტეს 800 ლარისა.</p> <p>-ონკოლოგიურ ან/და ლეიკემიით დაავადებულ მოქალაქეებს, დაავადების საჭიროებიდან გამომდინარე, მკურნალობის, გამოკვლევის, ოპერაციის ან/და მედიკამენტების შეძენის მიზნით, დახმარება გაეწევათ კალენდარული წლის განმავლობაში ეტაპობრივად, წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80% -ით არაუმეტეს 1000 ლარის.</p> <p>- გულის ოპერაციული მკურნალობის დაფინანსების მიზნით მოქალაქეებს კალენდარული წლის განმავლობაში ერთჯერადად გაეწევათ დახმარება წარმოდგენილი თანხობრივი ღირებულების 80%-ით, არაუმეტეს 800 ლარისა.</p> <p>-0-დან - 120 000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახების ყველა წევრს ოპერაციის დაფინანსების მიზნით, აუნაზღაურდებათ ოპერაციის ღირებულების თანხა საყოველთაო სადაზღვეო დაფინანსების შემდეგ დარჩენილი თანხის (რომელიც უნდა შეადგენდეს 200 ლარს და მეტს) 50%, არაუმეტეს 2000 ლარისა.</p>		
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველი, მოწყვლადი ჯგუფების სამედიცინო მომსახურებისადმი ხელმისაწვდომობის გაზრდა		

ბ.ბ) ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა

კოდი	პროგრამის დასახელება	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	2022 წლის დაფინანსება
			ათას ლარში
06 02 02	ა		475.0

ქვეპროგრამის აღწერა	<p>გათვალისწინებულია როგორც ერთჯერადი, ასევე ყოველთვიური ფინანსური დახმარება. ერთჯერადად გაწეული დახმარება გათვალისწინებულია შემდეგი კატეგორიებზე: ხანდაზმულ მოქალაქეებს - 200 ლარი; ომისა და სამხედრო ძალების შშმ ვეტერანს - 200 ლარი; სოციალურად დაუცველ ვეტერანს(0-120 000) -200 ლარი; დევნილ ოჯახებს ახალშობილთან დაკავშირებით 1-2 ბავშვზე - 200 ლარი, ყოველ შემდეგზე- იზრდება 100 ლარით; სოციალურად დაუცველ მარტოხელა დედას -200 ლარი; სოციალურად დაუცველ მრავალშვილიან ოჯახს(4 და მეტი შვილი) - 200 ლარი; ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით - 100 ლარი ერიცხება დევნილებს, დედ-მამით ობოლ არასრულწლოვანს, ომში დაღუპულ მეომრების ოჯახებს; ახალი წლის დღესასწაულთან დაკავშირებით - 100 ლარი ერიცხება თითოეულ უსინათლოს და სმენადაქვეითებულ მოქალაქეს; არასრულწლოვან შშმ-ს და ონკოლოგ მოქალაქეს - 100 ლარით; 0-დან - 15 000-მდე სარეიტინგო ქულით შეფასებულ ოჯახს - 200 ლარით; ყოველთვიურად გაწეული დახმარება გათვალისწინებულია შემდეგ კატეგორიებზე: უსინათლო და სმენადაქვეითებულ მოქალაქეებს - 50 ლარით; დიალიზის სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე მოქალაქეებს ერიცხებათ ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურების თანხა 60,70 და 100 ლარის ოდენობით საცხოვრებელი ადგილის მიხედვით; საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობითვის დაღუპულ მეომართა ოჯახებს - 100 ლარით ყოველთვიურად და 8 აგვისტოსთან დაკავშირებით - ერთჯერადად - 500 ლარით, ხოლო მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებს მაისის თვეში (9 მაისთან დაკავშირებით) ერთჯერადად 250 ლარით; მკვეთრად გამოხატული შშმ პირის დახმარების მიზნით ეტლის შეძენა; სტუდენტების სწავლის საფასურის დაფინანსება ვრცელდება შემდეგი კატეგორიის სტუდენტებზე: სოციალურად დაუცველი ოჯახების სტუდენტები ორი და მეტი სტუდენტის შემთხვევაში, სოციალურად დაუცველი დედით ან/და მამით ობოლი სტუდენტები, დედით და მამით ობოლი სტუდენტები, დევნილი სტუდენტები, ვეტერანების შვილები. სტუდენტებს უფინანსდებათ სწავლა მხოლოდ აკრედიტირებულ სასწავლებლების ბაკალავრიატში. ბიოლოგიურ ოჯახში ან კანონიერ წარმომადგენელთან (მეურვე, მზრუნველი) რეინტეგრირებულ არასრულწლოვან ბენეფიციართა დახმარება.</p>
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	სოციალურად დაუცველ და სხვა მოწყვლადი ჯგუფების მოქალაქეების დახმარება სხვადასხვა ყოფითი პრობლემის მოგვარებაში

ბ.გ) სარიტუალო მომსახურება (კოდი 060203)

კოდი	პროგრამის დასახელება	სარიტუალო მომსახურება	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
06 02 03			5.0
ქვეპროგრამის აღწერა		<p>ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელება. კერძოდ ქვეპროგრამა ითვალისწინებს გარდაცვალების დღიდან 30 კალენდარული დღის ვადაში მომართვისას, მეორე მსოფლიო ომის მონაწილე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ, იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურებას 250 ლარის ოდენობის თანხით.</p>	
ქვეპროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი		იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა და უპატრონო მიცვალებულთა დაკრძალვის სარიტუალო მომსახურების ხარჯის ანაზღაურება	

6. მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (კოდი 0100)

პრიორიტეტი მოიცავს ისეთ ღონისძიებებს, რომლებიც ადმინისტრაციული ხასიათისაა და ხელს უწყობს სისტემის გამართულ ფუნქციონირებას, როგორცაა მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის შენახვის ხარჯები, მათ შორის: შრომის ანაზღაურება, საქონელი და მომსახურება და სხვა. ასევე, მოიცავს ბიუჯეტის სარეზერვო ფონდს, წინა წლებში წარმოქმნილი

დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდს, სესხის მომსახურებას და ვალების დაფარვის ხარჯებს, მათ შორის: მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა. კერძოდ:

(კოდი 010101) ქვეპროგრამაში 15,0 ათასი ლარი გათვალისწინებულია საკრებულოს გენდერული თანასწორობის საბჭოს ფუნქციონირების ფარგლებში დაგეგმილი ღონისძიებების გასახორციელებლად.

(კოდი 010102) ქვეპროგრამის ფარგლებში ა(ა)იპ „ქვემო ქართლის რეგიონული განვითარების სააგენტოს“ ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გათვალისწინებული არის გრანტის სახით 45.0 ათასი ლარით დაფინანსება.

(კოდი 010203) ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა, კერძოდ "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28 ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.

კოდი	დასახელება	რიცხვობა	2022 წელი ჯამი	მ.შ ადგილო ბრივი ბიუჯეტი	მ.შ. სახელმწ იფო ტრანსფე რი	2023 წელი	2024 წელი	2025 წელი
0101	საკონონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	270	7244,6	7086,2	158,4	7216,6	7219,6	7219,6
010101	მუნიციპალიტეტის საკრებულო	40	1774,5	1774,5	0,0	1773,5	1773,5	1773,5
010102	მუნიციპალიტეტის მერია	218	5223,8	5223,8	0,0	5196,8	5199,8	5199,8
010103	სამხედრო აღრიცხვა, გაწვევა და მობილი იზება	12	246,4	88,0	158,4	246,4	246,4	246,4
0102	საერთო დანიშნულების ხარჯები	0	240,0	240,0	0,0	234,3	228,6	222,8
010201	სარეზერვო ფონდი		150,0	150,0	0,0	150,0	150,0	150,0
010202	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწ. აღსრულების ფონდი		3,0	3,0	0,0	3,0	3,0	3,0
010203	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა		87,0	87,0	0,0	81,3	75,6	69,8
	სულ პრიორიტეტი	270	7484,6	7326,2	158,4	7450,9	7448,2	7442,4

ა) მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა

კოდი	პროგრამის დასახელება	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	2022 წლის დაფინანსება ათას ლარში
010203			87,0
	პროგრამის აღწერა	ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული სესხების საპროცენტო და სესხების ძირი თანხების დაფარვა ყოველთვიურად, არაუგვიანეს ყოველი თვის ბოლო თარიღისა "საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში თანხის გადახდის დღისათვის (28 აპრილი და 28	

	ოქტომბერი) გადასახდელი ძირი და დარიცხული საპროცენტო თანხა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი რეფინანსირების განაკვეთის ცვლილების შესაბამისად.
პროგრამის მიზანი და მოსალოდნელი შედეგი	მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის წინაშე ნაკისრი სასესხო ვალდებულებების სრულად და დადგენილ ვადებში შესრულება

თავი VI

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

მუხლი 14. მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით.

ორგ. კოდი	დასახელება	2020 წლის ფაქტი	2021 წლის გეგმა			2022 წლის გეგმა		
			სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
				საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდები
	მარნეულის მუნიციპალიტეტი	34565,6	47233,9	38956,4	8277,5	36539,8	36289,8	250,0
	მომუშავეთა რიცხოვნება	278,0	270,0	270,0	0,0	270,0	270,0	0,0
	ხარჯები	19241,8	23742,0	22686,9	1055,0	23288,8	23038,8	250,0
	შრომის ანაზღაურება	3646,1	4562,5	4475,6	86,9	4996,0	4837,6	158,4
	საქონელი და მომსახურება	3638,4	5237,8	4449,9	787,9	4485,9	4485,9	0,0
	პროცენტი	45,0	30,0	30,0	0,0	24,3	24,3	0,0
	სუბსიდიები	9151,0	10878,8	10703,5	175,3	10940,0	10853,4	86,6
	გრანტები	48,9	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	2162,4	2398,7	2393,7	5,0	2201,0	2196,0	5,0
	სხვა ხარჯები	549,9	589,2	589,2	0,0	596,6	596,6	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	15173,7	23429,2	16206,7	7222,5	13188,4	13188,4	0,0
	ვალდებულებები	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0

0100	მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები	5798,7	8082,0	7995,1	86,9	7484,6	7326,2	158,4
	მომუშავეთა რიცხოვნება	278,0	270,0	270,0	0,0	270,0	270,0	0,0
	ხარჯები	5559,1	7193,9	7107,0	86,9	7407,9	7249,5	158,4
	შრომის ანაზღაურება	3646,1	4562,5	4475,6	86,9	4996,0	4837,6	158,4
	საქონელი და მომსახურება	1576,5	2061,3	2061,3	0,0	1983,0	1983,0	0,0
	პროცენტი	45,0	30,0	30,0	0,0	24,3	24,3	0,0
	სუბსიდიები	0,0	20,0	20,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გრანტები	48,9	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	53,6	121,0	121,0	0,0	44,0	44,0	0,0
	სხვა ხარჯები	189,1	354,2	354,2	0,0	315,6	315,6	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	89,4	825,4	825,4	0,0	14,0	14,0	0,0
	ვალდებულებები	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
01 01	საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა	5603,6	7812,3	7725,4	86,9	7244,6	7086,2	158,4
	მომუშავეთა რიცხოვნება	278,0	270,0	270,0	0,0	270,0	270,0	0,0
	ხარჯები	5514,1	6986,9	6900,0	86,9	7230,6	7072,2	158,4
	შრომის ანაზღაურება	3646,1	4562,5	4475,6	86,9	4996,0	4837,6	158,4
	საქონელი და მომსახურება	1576,5	2061,3	2061,3	0,0	1983,0	1983,0	0,0
	სუბსიდიები	0,0	20,0	20,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გრანტები	48,9	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	53,6	121,0	121,0	0,0	44,0	44,0	0,0
	სხვა ხარჯები	189,1	177,2	177,2	0,0	162,6	162,6	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	89,4	825,4	825,4	0,0	14,0	14,0	0,0
01 01 01	მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო	1343,7	1652,4	1652,4	0,0	1774,5	1774,5	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნება	34,0	40,0	40,0	0,0	40,0	40,0	0,0
	ხარჯები	1341,7	1648,4	1648,4	0,0	1769,5	1769,5	0,0
	შრომის ანაზღაურება	801,8	885,0	885,0	0,0	1033,9	1033,9	0,0
	საქონელი და მომსახურება	392,7	554,3	554,3	0,0	588,0	588,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	3,8	57,0	57,0	0,0	10,0	10,0	0,0

	სხვა ხარჯები	143,4	152,2	152,2	0,0	137,6	137,6	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,9	4,0	4,0	0,0	5,0	5,0	0,0
01 01 02	მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია	4066,0	5931,3	5931,3	0,0	5223,8	5223,8	0,0
	მომუშავეთა რიცხოვნება	232,0	218,0	218,0	0,0	218,0	218,0	0,0
	ხარჯები	3978,5	5111,9	5111,9	0,0	5216,8	5216,8	0,0
	შრომის ანაზღაურება	2686,0	3503,1	3503,1	0,0	3770,7	3770,7	0,0
	საქონელი და მომსახურება	1155,5	1458,8	1458,8	0,0	1346,0	1346,0	0,0
	სუბსიდიები	0,0	20,0	20,0	0,0	0,0	0,0	0,0
	გრანტები	48,9	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	42,4	60,0	60,0	0,0	30,0	30,0	0,0
	სხვა ხარჯები	45,7	25,0	25,0	0,0	25,0	25,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	87,5	819,4	819,4	0,0	7,0	7,0	0,0
01 01 03	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამადლების ხელშეწყობა	193,9	228,6	141,7	86,9	246,4	88,0	158,4
	მომუშავეთა რიცხოვნება	12,0	12,0	12,0	0,0	12,0	12,0	0,0
	ხარჯები	193,9	226,6	139,7	86,9	244,4	86,0	158,4
	შრომის ანაზღაურება	158,3	174,4	87,5	86,9	191,4	33,0	158,4
	საქონელი და მომსახურება	28,3	48,2	48,2	0,0	49,0	49,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	7,3	4,0	4,0	0,0	4,0	4,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	2,0	2,0	0,0	2,0	2,0	0,0
01 02	საერთო დანიშნულების ხარჯები	195,1	269,7	269,7	0,0	240,0	240,0	0,0
	ხარჯები	45,0	207,0	207,0	0,0	177,3	177,3	0,0
	პროცენტი	45,0	30,0	30,0	0,0	24,3	24,3	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	177,0	177,0	0,0	153,0	153,0	0,0
	ვალდებულებები	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
01 02 01	სარეზერვო ფონდი	0,0	174,0	174,0	0,0	150,0	150,0	0,0
	ხარჯები	0,0	174,0	174,0	0,0	150,0	150,0	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	174,0	174,0	0,0	150,0	150,0	0,0
01 02 02	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი	0,0	3,0	3,0	0,0	3,0	3,0	0,0

	ხარჯები	0,0	3,0	3,0	0,0	3,0	3,0	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	3,0	3,0	0,0	3,0	3,0	0,0
01 02 03	მუნიციპალიტეტის ვალდებულებების მომსახურება და დაფარვა	195,1	92,7	92,7	0,0	87,0	87,0	0,0
	ხარჯები	45,0	30,0	30,0	0,0	24,3	24,3	0,0
	პროცენტი	45,0	30,0	30,0	0,0	24,3	24,3	0,0
	ვალდებულებები	150,1	62,7	62,7	0,0	62,7	62,7	0,0
02 00	ინფრასტრუქტურის განვითარება	17420,7	23305,2	17780,2	5525,0	16092,7	16092,7	0,0
	ხარჯები	3979,5	5550,9	5421,5	129,4	4958,9	4958,9	0,0
	საქონელი და მომსახურება	1488,2	2175,9	2046,6	129,4	2212,9	2212,9	0,0
	სუბსიდიები	2491,3	3274,9	3274,9	0,0	2540,0	2540,0	0,0
	სხვა ხარჯი	0,0	100,0	100,0	0,0	206,0	206,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	13441,2	17754,3	12358,7	5395,6	11133,9	11133,9	0,0
02 01	საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება	6295,6	6088,0	3214,9	2873,0	9359,9	9359,9	0,0
	ხარჯები	366,6	521,8	521,8	0,0	510,9	510,9	0,0
	საქონელი და მომსახურება	366,6	521,8	521,8	0,0	510,9	510,9	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5928,9	5566,2	2693,1	2873,0	8849,0	8849,0	0,0
02 01 01	გზებისმოვლა შენახვა	366,6	521,8	521,8	0,0	510,9	510,9	0,0
	ხარჯები	366,6	521,8	521,8	0,0	510,9	510,9	0,0
	საქონელი და მომსახურება	366,6	521,8	521,8	0,0	510,9	510,9	0,0
02 01 02	გზების მშენებლობა და რეაბილიტაცია	5928,9	5566,2	2693,1	2873,0	8849,0	8849,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5928,9	5566,2	2693,1	2873,0	8849,0	8849,0	0,0
02 02	წყლის სისტემების განვითარება	6039,7	10551,9	9205,0	1346,8	3525,9	3525,9	0,0
	ხარჯები	1568,5	2316,5	2316,5	0,0	1550,0	1550,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	46,8	114,2	114,2	0,0	50,0	50,0	0,0
	სუბსიდიები	1521,7	2202,3	2202,3	0,0	1500,0	1500,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4471,1	8235,4	6888,6	1346,8	1975,9	1975,9	0,0
02 02 01	სასმელი წყლის სისტემის ექსპლოატაცია	1523,5	2226,5	2226,5	0,0	1505,0	1505,0	0,0
	ხარჯები	1523,5	2226,5	2226,5	0,0	1505,0	1505,0	0,0

	საქონელი და მომსახურება	1,8	24,2	24,2	0,0	5,0	5,0	0,0
	სუბსიდიები	1521,7	2202,3	2202,3	0,0	1500,0	1500,0	0,0
02 02 02	სასმელი წყლის სისტემის მშენებლობა-რეაბილიტაცია	4234,9	6395,8	5154,8	1241,0	775,9	775,9	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4234,9	6395,8	5154,8	1241,0	775,9	775,9	0,0
02 02 03	საკანალიზაციო და სანიაღვრე სისტემის განვითარება და მოვლა შენახვა	242,7	807,1	807,1	0,0	45,0	45,0	0,0
	ხარჯები	45,0	90,0	90,0	0,0	45,0	45,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	197,7	717,1	717,1	0,0	0,0	0,0	0,0
02 02 04	სარწყავი არხების და ნაპირსამაგრი ნაგებობების მოწყობა, რეაბილიტაცია	38,5	1122,6	1016,7	105,9	1200,0	1200,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	38,5	1122,6	1016,7	105,9	1200,0	1200,0	0,0
02 03	გარე განათება	1543,4	1944,8	1944,8	0,0	1890,0	1890,0	0,0
	ხარჯები	1255,9	1651,2	1651,2	0,0	1890,0	1890,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	972,7	1288,5	1288,5	0,0	1500,0	1500,0	0,0
	სუბსიდიები	283,3	362,7	362,7	0,0	390,0	390,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	287,4	293,6	293,6	0,0	0,0	0,0	0,0
02 03 01	გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია	283,3	367,7	367,7	0,0	390,0	390,0	0,0
	ხარჯები	283,3	362,7	362,7	0,0	390,0	390,0	0,0
	სუბსიდიები	283,3	362,7	362,7	0,0	390,0	390,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	5,0	5,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 03 02	გარე განათების ქსელის მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის გადასახადი	972,7	1288,5	1288,5	0,0	1500,0	1500,0	0,0
	ხარჯები	972,7	1288,5	1288,5	0,0	1500,0	1500,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	972,7	1288,5	1288,5	0,0	1500,0	1500,0	0,0
02 03 03	გარე განათების ახალი წერტილების მოწყობა	287,4	288,6	288,6	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	287,4	288,6	288,6	0,0	0,0	0,0	0,0
0204	მუნიციპალური ტრანსპორტის განვითარება	1997,3	2360,0	2360,0	0,0	650,0	650,0	0,0
	ხარჯები	686,3	710,0	710,0	0,0	650,0	650,0	0,0
	სუბსიდიები	686,3	710,0	710,0	0,0	650,0	650,0	0,0

	არაფინანსური აქტივების ზრდა	1311,0	1650,0	1650,0	0,0	0,0	0,0	0,0
0204 01	მუნიციპალური სატრანსპორტო სისტემის სუბსიდირება	686,3	710,0	710,0	0,0	650,0	650,0	0,0
	ხარჯები	686,3	710,0	710,0	0,0	650,0	650,0	0,0
	სუბსიდიები	686,3	710,0	710,0	0,0	650,0	650,0	0,0
0204 02	მუნიციპალური ტრანსპორტის განახლება	1311,0	1650,0	1650,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1311,0	1650,0	1650,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 06	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება	0,0	100,0	100,0	0,0	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	0,0	100,0	100,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	100,0	100,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 07	კეთილმოწყობა	245,2	434,6	434,6	0,0	667,0	667,0	0,0
	ხარჯები	40,8	122,0	122,0	0,0	358,0	358,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	204,4	312,6	312,6	0,0	309,0	309,0	0,0
02 07 01	საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია	238,2	314,6	314,6	0,0	381,0	381,0	0,0
	ხარჯები	34,9	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	34,9	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	203,3	242,6	242,6	0,0	309,0	309,0	0,0
02 07 02	შენობების ფასადების რეაბილიტაცია	1,1	70,0	70,0	0,0	206,0	206,0	0,0
	ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	206,0	206,0	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	206,0	206,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,1	70,0	70,0	0,0	0,0	0,0	0,0
02 07 03	სადღესასწაულო ღონისძიებები	5,9	50,0	50,0	0,0	80,0	80,0	0,0
	ხარჯები	5,9	50,0	50,0	0,0	80,0	80,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	5,9	50,0	50,0	0,0	80,0	80,0	0,0
02 08	სარიტუალო ღონისძიებები	7,8	216,4	216,4	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,8	216,4	216,4	0,0	0,0	0,0	0,0
02 08 01	სასაფლაოების მოწყობა და მოვლა-პატრონობა	7,2	80,0	80,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	7,2	80,0	80,0	0,0	0,0	0,0	0,0

02 08 02	სარიტუალო დარბაზების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	0,6	136,4	136,4	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,6	136,4	136,4	0,0	0,0	0,0	0,0
02 09	სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები	1291,8	1609,6	304,4	1305,1	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	61,3	129,4	0,0	129,4	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	129,4	0,0	129,4	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1230,5	1480,2	304,4	1175,7	0,0	0,0	0,0
03 00	დასუფთავება და გარემოს დაცვა	1976,2	2196,7	2196,7	0,0	1970,0	1970,0	0,0
	ხარჯები	1630,9	1839,3	1839,3	0,0	1970,0	1970,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	21,1	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
	სუბსიდიები	1609,8	1789,3	1789,3	0,0	1920,0	1920,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	345,3	357,4	357,4	0,0	0,0	0,0	0,0
0301	დასუფთავება და ნარჩენების მართვა	1405,1	1597,1	1597,1	0,0	1540,0	1540,0	0,0
	ხარჯები	1399,1	1594,1	1594,1	0,0	1540,0	1540,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	21,1	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
	სუბსიდიები	1378,0	1544,1	1544,1	0,0	1490,0	1490,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,0	3,0	3,0	0,0	0,0	0,0	0,0
0301 01	დასუფთავება და ნარჩენების გატანა	1239,0	1387,1	1387,1	0,0	1360,0	1360,0	0,0
	ხარჯები	1233,0	1384,1	1384,1	0,0	1360,0	1360,0	0,0
	სუბსიდიები	1233,0	1384,1	1384,1	0,0	1360,0	1360,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	6,0	3,0	3,0	0,0	0,0	0,0	0,0
0301 02	ნარჩენების გადამუშავება	145,0	160,0	160,0	0,0	130,0	130,0	0,0
	სუბსიდიები	145,0	160,0	160,0	0,0	130,0	130,0	0,0
0301 03	გარემოს დაცვითი სხვა ღონისძიებები	21,1	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
	ხარჯები	21,1	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	21,1	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
0302	მწვანე ნარგავების მოვლა- პატრონობა, განვითარება	231,8	245,2	245,2	0,0	430,0	430,0	0,0
	ხარჯები	231,8	245,2	245,2	0,0	430,0	430,0	0,0

	სუბსიდიები	231,8	245,2	245,2	0,0	430,0	430,0	0,0
0303	კაპიტალური დაბანდებები დასუფთავების სფეროში	339,3	354,4	354,4	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	339,3	354,4	354,4	0,0	0,0	0,0	0,0
04 00	განათლება	3496,9	5693,6	3240,9	2452,6	3072,0	3072,0	0,0
	ხარჯები	2866,7	3475,5	2817,0	658,5	3072,0	3072,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	351,0	658,5	0,0	658,5	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	2474,7	2745,0	2745,0	0,0	3000,0	3000,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	41,0	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	630,3	2218,1	423,9	1794,1	0,0	0,0	0,0
04 01	სკოლამდელი დაწესებულებების ფუნქციონირება	2479,3	2700,0	2700,0	0,0	3000,0	3000,0	0,0
	ხარჯები	2474,7	2700,0	2700,0	0,0	3000,0	3000,0	0,0
	სუბსიდიები	2474,7	2700,0	2700,0	0,0	3000,0	3000,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	4,5	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
04 02	სკოლამდელი დაწესებულებების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	147,5	2211,0	416,9	1794,1	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	1,9	45,0	45,0	0,0	0,0	0,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	1,9	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სუბსიდიები	0,0	45,0	45,0	0,0			
	არაფინანსური აქტივების ზრდა	145,6	2166,0	371,9	1794,1	0,0	0,0	0,0
04 03	ზოგადი განათლების ხელშეწყობა	870,1	782,5	124,0	658,5	72,0	72,0	0,0
	ხარჯები	390,0	730,5	72,0	658,5	72,0	72,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	349,1	658,5	0,0	658,5	0,0	0,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	0,0	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	41,0	52,0	52,0	0,0	0,0	0,0	0,0
04 03 01	პედაგოგთა დახმარება	41,0	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
	ხარჯები	41,0	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	41,0	72,0	72,0	0,0	72,0	72,0	0,0
04 03 02	საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება	349,1	658,5	0,0	658,5	0,0	0,0	0,0
	ხარჯები	349,1	658,5	0,0	658,5	0,0	0,0	0,0

	საქონელი და მომსახურება	349,1	658,5	0,0	658,5	0,0	0,0	0,0
04 03 03	საჯარო სკოლების მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები	480,1	52,0	52,0	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	480,1	52,0	52,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 00	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი	3095,3	5465,6	5432,9	32,7	5580,5	5580,5	0,0
	ხარჯები	2639,5	3226,3	3226,3	0,0	3540,0	3540,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	201,6	292,1	292,1	0,0	240,0	240,0	0,0
	სუბსიდიები	2378,0	2794,1	2794,1	0,0	3220,0	3220,0	0,0
	სხვა ხარჯები	50,5	90,0	90,0	0,0	30,0	30,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	455,8	2239,4	2206,7	32,7	2040,5	2040,5	0,0
05 01	სპორტის სფეროს განვითარება	1545,3	3517,5	3484,8	32,7	3665,5	3665,5	0,0
	ხარჯები	1102,3	1322,0	1322,0	0,0	1625,0	1625,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	4,4	10,0	10,0	0,0	10,0	10,0	0,0
	სუბსიდიები	1087,8	1297,0	1297,0	0,0	1600,0	1600,0	0,0
	სხვა ხარჯები	10,1	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	443,0	2195,5	2162,8	32,7	2040,5	2040,5	0,0
05 01 01	სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა	1092,8	1400,0	1400,0	0,0	1600,0	1600,0	0,0
	ხარჯები	1087,8	1297,0	1297,0	0,0	1600,0	1600,0	0,0
	სუბსიდიები	1087,8	1297,0	1297,0	0,0	1600,0	1600,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	5,0	103,0	103,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 01 02	სპორტული ღონისძიებები	14,5	25,0	25,0	0,0	25,0	25,0	0,0
	ხარჯები	14,5	25,0	25,0	0,0	25,0	25,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	4,4	10,0	10,0	0,0	10,0	10,0	0,0
	სხვა ხარჯები	10,1	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	0,0
05 01 03	სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	438,0	2092,5	2059,8	32,7	2040,5	2040,5	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	438,0	2092,5	2059,8	32,7	2040,5	2040,5	0,0
05 02	კულტურის სფეროს განვითარება	1395,8	1734,5	1734,5	0,0	1705,0	1705,0	0,0
	ხარჯები	1382,9	1690,7	1690,7	0,0	1705,0	1705,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	80,7	178,5	178,5	0,0	130,0	130,0	0,0

	სუბსიდიები	1290,1	1497,1	1497,1	0,0	1560,0	1560,0	0,0
	სხვა ხარჯები	12,1	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	12,8	43,9	43,9	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 01	კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა	895,1	1097,0	1097,0	0,0	1150,0	1150,0	0,0
	ხარჯები	884,1	1073,2	1073,2	0,0	1150,0	1150,0	0,0
	სუბსიდიები	884,1	1073,2	1073,2	0,0	1150,0	1150,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	11,0	23,8	23,8	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 02	კულტურის სფეროს ღონისძიებები	92,8	207,5	207,5	0,0	145,0	145,0	0,0
	ხარჯები	92,8	207,5	207,5	0,0	145,0	145,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	80,7	178,5	178,5	0,0	130,0	130,0	0,0
	სუბსიდიები	0,0	13,9	13,9	0,0	0,0	0,0	0,0
	სხვა ხარჯები	12,1	15,0	15,0	0,0	15,0	15,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0,0	0,0			0,0	0,0	0,0
05 02 03	კულტურის ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა	1,9	20,1	20,1	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	1,9	20,1	20,1	0,0	0,0	0,0	0,0
05 02 04	რელიგიური და სხვა სახის საზოგადოებრივი საქმიანობა	406,0	410,0	410,0	0,0	410,0	410,0	0,0
	ხარჯები	406,0	410,0	410,0	0,0	410,0	410,0	0,0
	სუბსიდიები	406,0	410,0	410,0	0,0	410,0	410,0	0,0
	სხვა ხარჯები	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 03	ახალგაზრდობის მხარდაჭერა	37,7	110,0	110,0	0,0	110,0	110,0	0,0
	ხარჯები	37,7	110,0	110,0	0,0	110,0	110,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	9,4	50,0	50,0	0,0	50,0	50,0	0,0
	სხვა ხარჯები	28,3	60,0	60,0	0,0	0,0	0,0	0,0
05 04	ტელე-რადიო მაუწყებლობა და საგამომცემლო საქმიანობა	116,5	103,6	103,6	0,0	100,0	100,0	0,0
	ხარჯები	116,5	103,6	103,6	0,0	100,0	100,0	0,0
	საქონელი და მომსახურება	116,5	103,6	103,6	0,0	100,0	100,0	0,0
06 00	მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა	2777,8	2490,8	2310,5	180,3	2340,0	2248,4	91,6

	ხარჯები	2566,1	2456,1	2275,8	180,3	2340,0	2248,4	91,6
	სუბსიდიები	197,2	255,4	80,1	175,3	260,0	173,4	86,6
	სოციალური უზრუნველყოფა	2058,5	2155,7	2150,7	5,0	2035,0	2030,0	5,0
	სხვა ხარჯები	310,4	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	211,7	34,7	34,7	0,0	0,0	0,0	0,0
06 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	408,9	290,1	114,8	175,3	260,0	173,4	86,6
	ხარჯები	197,2	255,4	80,1	175,3	260,0	173,4	86,6
	სუბსიდიები	197,2	255,4	80,1	175,3	260,0	173,4	86,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	211,7	34,7	34,7	0,0	0,0	0,0	0,0
06 01 01	საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამები	199,7	259,0	83,7	175,3	260,0	173,4	86,6
	ხარჯები	197,2	255,4	80,1	175,3	260,0	173,4	86,6
	სუბსიდიები	197,2	255,4	80,1	175,3	260,0	173,4	86,6
	არაფინანსური აქტივების ზრდა	2,5	3,6	3,6	0,0	0,0	0,0	0,0
06 01 02	კაპიტალდაბანდებები საზოგადოებრივ ჯანდაცვაში	209,2	31,1	31,1	0,0	0,0	0,0	0,0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	209,2	31,1	31,1	0,0	0,0	0,0	0,0
06 02	სოციალური პროგრამები	2368,9	2200,7	2195,7	5,0	2080,0	2075,0	5,0
	ხარჯები	2368,9	2200,7	2195,7	5,0	2080,0	2075,0	5,0
	სოციალური უზრუნველყოფა	2058,5	2155,7	2150,7	5,0	2035,0	2030,0	5,0
	სხვა ხარჯები	310,4	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
06 02 01	ავადმყოფთა სოციალური დაცვა	1510,3	1720,7	1720,7	0,0	1600,0	1600,0	0,0
	ხარჯები	1510,3	1720,7	1720,7	0,0	1600,0	1600,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	1510,3	1720,7	1720,7	0,0	1600,0	1600,0	0,0
06 02 02	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	855,4	475,0	475,0	0,0	475,0	475,0	0,0
	ხარჯები	855,4	475,0	475,0	0,0	475,0	475,0	0,0
	სოციალური უზრუნველყოფა	545,0	430,0	430,0	0,0	430,0	430,0	0,0
	სხვა ხარჯები	310,4	45,0	45,0	0,0	45,0	45,0	0,0
06 02 03	სარიტუალო მომსახურება	3,1	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
	ხარჯები	3,1	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0
	სოციალური უზრუნველყოფა	3,1	5,0	0,0	5,0	5,0	0,0	5,0

თავი VII

მარეგულირებელი ნორმები

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 16 .

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 101-ე მუხლის საფუძველზე მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნებებში 51.0 ათასი ლარი გათვალისწინებულია მოხელეთა პროფესიული განვითარებისათვის.

მუხლი 17.

მარნეულის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამებისა და ქვეპროგრამების განხორციელება, ამ პროგრამებისა და ქვეპროგრამების ფარგლებში გაფორმებულ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლი (ინსპექტირება), დაევალოთ მერიის სამსახურებს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 18 .

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის სტრუქტურულმა ერთეულებმა, ყოველი კვარტლის დასრულებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში მარნეულის მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წარუდგინონ ინფორმაცია მათ მიერ და მათი კონტროლისადმი დაქვემდებარებული საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ, ამ დადგენილებით მათთვის გათვალისწინებული საბიუჯეტო სახსრებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განხორციელებული ტენდერებისა და შესრულებული სამუშაოების შედეგად წარმოქმნილი ეკონომიის თაობაზე.

2. საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური მუნიციპალიტეტის მერს წარუდგენს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მუნიციპალიტეტის მერი იღებს გადაწყვეტილებას ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ეკონომიის სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე გადანაწილების შესახებ, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 19.

პროგრამებისა და ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების ნუსხა დამტკიცდეს მუნიციპალიტეტის მერის მიერ და მასვე მიენიჭოს ცვლილებების შეტანის უფლებამოსილება.

მუხლი 20 .

მარნეულის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების და საშტატო ნუსხების დამტკიცება განხორციელდეს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 21 .

საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის 6-ე პუნქტის შესაბამისად წლიური ბიუჯეტის დაზუსტება განხორციელდეს შემდეგი წესით:

1. ერთი პრიორიტეტიდან სხვა პრიორიტეტზე ასიგნებების გადანაწილება, გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის, წინა წლების დავალიანებების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა, შეიძლება მხოლოდ დამტკიცებულ წლიურ ბიუჯეტში ცვლილებების შეტანით.

2. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში შესაძლებელია განხორციელდეს პროგრამებს, ქვეპროგრამებსა და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის თანხების გადანაწილება.

3. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს შორის თანხების გადანაწილება არ უნდა აღემატებოდეს ამ პრიორიტეტისათვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული გადასახდელების 5%-ს, (გარდა ბიუჯეტის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა) და ასიგნების გადანაწილება შეიძლება განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების შესაბამისად.

4. ერთი პრიორიტეტის ფარგლებში პროგრამებს, ქვეპროგრამებს/ღონისძიებებს და საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებს შორის ასიგნებების გადანაწილება (მათ შორის სარეზერვო ფონდის და წინა წლების დავალიანებების დაფარვა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდისათვის გათვალისწინებული ასიგნებებისა), შესაძლებელია განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე;

5. სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებიდან გამოყოფილი თანხების ასახვის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე შესაძლებელია განხორციელდეს ცვლილებები (მათ შორის: პროგრამული კოდის დამატება) ბიუჯეტით დამტკიცებულ გადასახდელებში და შემოსულობებში. განხორციელებული ცვლილებები 1 თვის ვადაში, მაგრამ არა უგვიანეს საბიუჯეტო წლის დასრულებისა, ცნობის სახით უნდა წარედგინოს მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს;

6. მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების და არასამეწარმეო/არაკომერციული პირების ხარჯთაღრიცხვების დაზუსტება მათთვის წლიური ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნების ფარგლებში განხორციელდეს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

6. ამ მუხლის 2-5 პუნქტის შესაბამისად მუნიციპალიტეტის წლიურ ბიუჯეტში ცვლილებებს ახორციელებს მუნიციპალიტეტის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური, განწერით დამტკიცებული ასიგნებების დაზუსტების მიზნით ბიუჯეტის მართვის ელექტრონულ სისტემაში (E-Budget). ხარჯთაღრიცხვის ცვლილების ცნობას ადასტურებენ საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი და ამავე სამსახურის ბიუჯეტის დაგეგმვისა და ანალიზის განყოფილების უფროსი. აღნიშნულ ცნობას ენიჭება თარიღი და ნომერი.

მუხლი 22.

საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 82-ე მუხლის თანახმად მუნიციპალიტეტის საფინანსო – საბიუჯეტო სამსახურმა მოამზადოს მარნეულის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის კვარტალური განწერა საბიუჯეტო კლასიფიკაციის შესაბამისად.

მუხლი 23 . მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული გადასახდელების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 150.0 ათასი ლარის ოდენობით. სარეზერვო

ფონდიდან თანხის გამოყოფა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის საფუძველზე.

მუხლი 24 . სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 250,0 ათასი ლარი მიიმართოს:
 - ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 158,4 ათასი ლარის ოდენობით ;
 - ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 86,6 ათასი ლარის ოდენობით;
 - გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონისა და „იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 5,0 ათასი ლარის ოდენობით;
2. „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 69-ე მუხლის საფუძველზე წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

თავი VIII. დასკვნითი დებულებანი

მუხლი 25. დადგენილების ამოქმედება

1. დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე;
2. დადგენილების ამოქმედებისთანავე გამოცხადდეს ძალადაკარგულად მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 26 იანვრის „მარნეულის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ მარნეულის №1 დადგენილება (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე www.matsne.gov.ge 27/01/2021, №190020020.35.159.016441).

შეთანხმებულია:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერი

კენან ომაროვი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანური რესურსების

მართვის განყოფილების უფროსი

მამუკა შუბითიძე

მოამზადა:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

ვუგარ მამედოვი